საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გათბობის ქვაბის თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი/მონტაჟი) აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

29 ოქტომბერი, 2021 წ. **ქ. თბილისი**

კომისიის წევრები:

გიორგი გომარელი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

თამარ ხოკერაშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი თინიკაშვილი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სატენდერო კომისიის წევრი;

თამარ ქაფიანიძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო) ხელმძღვანელი, სატენდერო კომისიის წევრი;

ზაზა რუხაია - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საფინანსო-სამმართველო) ხელმძღვანელი, სატენდერო კომისიის წევრი;

ზაქარია წითლაური - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო) ხელმძღვანელი, სატენდერო კომისიის წევრი.

კომისიის აპარატის წევრები:

ესმა გოგინავა - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;

ლეილა სიდამონიძე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს N106435-02 (04/10/2021) წერილის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გათბობის ქვაბის თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი/მონტაჟი) ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საშუალებით შესყიდვის განხილვა;
2. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიას წარედგინა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გათბობის ქვაბის თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი/მონტაჟი) შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

კომისიამ დაადგინა:

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გათბობის ქვაბის თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი/მონტაჟი) შესყიდვა განხორციელდეს აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის საშუალებით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული უმცირესი ფასით - 32 800 (ოცდათორმეტი ათას რვაასი) ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

2. დამტკიცებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია;

3. სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს.

4. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნეს დღგ-ს ჩათვლით.

5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანების „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, შესყიდვის ობიექტია - გათბობის ქვაბი თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი/მონტაჟი) (CPV- 44620000).

6. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

კომისიის წევრები:

გიორგი გომარელი	კომისიის თავმჯდომარე
თამარ ხოკერაშვილი	კომისიის წევრი
გიორგი თინიკაშვილი	კომისიის წევრი
თამარ ქაფიანიძე	კომისიის წევრი
ზაზა რუხაია	კომისიის წევრი
ზაქარია წითლაური	კომისიის წევრი

Zaza Rukhaia 01010004354 Digitally signed by Zaza Rukhaia Date: 2021.10.29 16:20:47

Zakaria Tsitlauri Digitally signed by Zakaria Tsitlauri Date: 2021.10.29 16:24:19 +04'00'

კომისიის აპარატის წევრები:

ლეილა სიდამონიძე	სატენდერო კომისიის აპარატის წევრი
ესმა გოგინავა	სხდომის მდივანი